ინფორმაცია ტესტირებისა და გასაუბრების შესახებ

მოგესალმებით,

მადლობთ, რომ მონაწილეობთ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ **„სოციალური მედიის მართვის“** მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის, **„ისწავლე და დასაქმდი“** ფარგლებში.

როგორც იცით, აპლიკანტების პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- *ტესტირება ინგლისური ენის ცოდნის შესამოწმებლად (B1);*
- *გასაუბრება.*

შერჩევა

<u>პირველი ეტაპი</u>: ტესტირება - 2023 წლის 29 აპრილი.

<u>მეორე ეტაპი</u>: გასაუბრება - 2023 წლის 2 მაისი.

ტესტირება *და* ***გასაუბრება*** *წარიმართება დისტანციურად (ონლაინ), კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების -* ***Google Meet*** *გამოყენებით.*

<u>პირველი ეტაპი:</u>

ტესტირებაში მონაწილეობისათვის გამოგეგზავნებათ შესაბამისი ლინკი, რომელიც გააქტიურდება **2023 წლის 29 აპრილის 12:00 საათიდან.**

ტესტის შეფასების მაქსიმალური ქულა შეადგენს 100-ს. ტესტი შედგება დახურული და ღია კითხვებისაგან. ტესტირების ხანგრძლივობა - 1 საათი. მეორე ეტაპზე გადავა მაქსიმალური ქულის მქონე 30 აპლიკანტი. თანაბარი საკონკურსო ქულების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, განისაზღვროს დამატებითი საკონკურსო ეტაპი საუკეთესო აპლიკანტის გამოვლენის მიზნით.

<u>მეორე ეტაპი:</u>

გასაუბრება გაიმართება 2023 წლის 2 მაისის 17:00 საათიდან ***Google Meet*** პლატფორმის გამოყენებით. თითოეული აპლიკანტისათვის გამოყოფილია დროის ხანგრძლივობა არაუმეტეს 10 წუთისა. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ჯამური 20 ქულიანი სისტემით, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 14 ქულით.

გთხოვთ, შეხვედრაზე დასასწრებად ეწვიოთ მითითებულ ბმულს, რომელიც გამოგეგზავნებათ დამატებით გასაუბრების დაწყებამდე თქვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

სწავლა დაიწყება 2023 წლის 5 მაისს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ამა წლის ივნისში იგეგმება დამატებით 2 ახალი სასწავლო ჯგუფის ფორმირება, ამგვარად მაქსიმალური ქულის მქონე შემდეგ 30 აპლიკანტს, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა შერჩევის პროცესში (ტესტირება-გასაუბრება), დამატებით წინაპირობების გარეშე, სურვილისამებრ, შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ ახალი ჯგუფების სასწავლოპროცესში.

გისურვებთ წარმატებებს!

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“